კვირა, 5 თიბათვე **№ 23** — 1916

ფასი 10 კ.

წელიწადი გამოცემისა მეო

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ.

წ. VI „თეატრი და ცხოვრება" წ. IV

ყოველკვირეული ჟურნალი

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"-ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41.
მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Имедашвили

ჭოლა ლომთათიძე გარდას. მეგობ. შორის
1. ჭოლა, 2, გელა, 3, შ. აბ-ლი, 4, კ. ჭ-ძე 5. კ. ჯ-ძე.

5 თიბათვე

სანთლები სანამ გვყავს—არ ვაფასებთ, **ქრებიან!** დავკარგავთ—თავში ვიცემთ: ვგლოვობთ და ვმწუხარეობთ!

ჩვენს სამშობლო სცენასა თუ მწერლობას ჩვენი საერთო დაუდევრობით ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა დაეკარგა.

ეს სავალალო მდგომარეობა დღესაც გრძელდება.

ერთი მხრივ თუ ვერ იქმნა და დღემდე ვერ შეიქმნა ისეთი თანხა, რომ ქართული სცენის ქურუმი—ჩვენი სამშობლოს მომავალის ეს დიდი მოამაგე, მაგრამ დღეს არარად მიჩნეული,—ნივთიერად უზრუნველჰყოს, მეორე მხრით ჩვენი სათეატრო საქმის „კულისებში" თითქო ჯადოა ჩაფლული, რადგან მავნე, რომ ცოტად თუ ბევრად ცხოველი სული, ახალი ძალა სამშობლო სცენას ვერ ეთვისება: ახალი ძველს, ძველი ახალს ვერ შეჰგუებია, მესამე მხრით კი თვითა-

ზდა მსახიობნი თითქო ბოლოდ სჯდებნენი არიან: საქმის სხვათა შორისი მოსამსახურენი, საქმის არა გატაცებით მოყვარულნი...

„მიზეზთა და მიზეზთა“ გამო ან ხელად სტოვებენ სცენას ანუ აბუჩად ეპყრობიან...

ნუცა ჩხეიძე სცენაზე ოცი წლის სამსახურის შემდეგ ოციანის შემყურე მეულლეს გაჰყვა პროვინციაში: ოჯახს კვება უნდა, შვილს—სწავლაო.

შალვა დადიანი მხოლოდ აქაიქ მოგზაურობას გადაჰყვა და შეთხვევით წარმოდგენებზე დახურდავდა...

ვლ. ალ—მესხიშვილი სტუმარიდაა და მისი ასულნი ხომ სამუდამოდ გაუფრინდენ ჩვენს თეატრს.

გ. იშხნელმა, ალბად, „პომეშჩიკობაში“ უფრო ჭნახა გეშო.

დ. მგალობლიშვილი რუსულ ოპერეტას მიეკედლა და ..ვგონებ, სამუდამოდაც...

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

დიაღ, ასე მიდიან... მიდიან და...

სანთლები ქრებიან, სამშობლო ხელოვნების სანთლები!..

და რავდენია ისეთი, რომ ჯერ არც კი გამოჩენილა, მაგრამ ჩვენი სცენის უნაგეშო მდგომარეობით გულ-გატეხილი სამუდამოდ ჩაქრა...

რას შვრებით თქვენ, ისტორიამ და საზოგადოებრივმა აზრმა ანუ შემთხვევამ სამშობლო ხელოვნების მეტვეურობა რომ მოგანდოთ?

ნუ თუ მარტო იმას, რომ.. საზოგადო მოღვაწის სახელს უქმად ატარებთ?!

უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

VIII

ნათქვამია, სხვის იმედით ფართე ლოგინს ნუ გაიშლიო.

რანაირი მოკავშირეებიც უნდა გაუჩნდეს ქართველ ერს, სხვა მას ვერ შეჰმატებს იმდენს ძალას, რამდენსაც თვითონ შემატებს თავის თავს.

ჩვენ გვინდა კავკასიის ერებთან კავშირი იმისთვის, რომ ჩვენ მოვლონიერდეთ, კავკასიის ერებსაც ამიტომ უნდათ ჩვენთან კავშირი, რომ ჩვენის დახმარებით მათ ძალა შეიმატონ. ამისათვის-კი საჭიროა, რომ ჩვენ თვითონ წარმოვადგენდეთ საკმაო ძალას.

ძალა არის შრომის ნაყოფი, შრომის შვილი. ძველებური დაუდევრობა, სიზარმაცე უნდა გავდევნოთ ჩვენი არსებიდან და ჩვენი ცხოვრებიდან.

ამბობენ დღევანდელი დრო ფულის დროა-ოარისო.

ტყუილია!

ახლანდელი დრო შრომის, გარჯის დროა. ვინც შრომობს, ვინც მუშაობს, ის მძლავრდება და ის იმარჯვებს.

ჩვენი არსებობის ერთ მთავარ საფუძველს და ეკონომიური ცხოვრების ერთ მთავარ საძირკველს ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ტერიტორია შეადგენს.

მაშასადამე ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, ეს მიწა-წყალი შევინარჩუნოთ.

თავად-აზნაურობა ღარიბდება, მიწა მას ხელიდან ეცლება და გადადის სხვის ხელში.

ჩვენს საზოგადოებას არაფერი არ გაუკეთებია, რომ თავადების მიწა-წყალი ჩვენ მშრომელ ხალხს არ ეკარგებოდეს.

ეს დიდი, ძალიან დიდი დანაშაულია.

ჩვენ თავად-აზნაურობის ნამუსსა და სინიდისზე მივაგდეთ ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანი საქმე.

ნამუსი და სინიდისი გლახა თავდებია იქ, სადაც თვით ცხოვრება აიძულებს წარჩინებულ წოდებას, მიწა-წყალს შეელიოს. თუ რამ გაკეთებულა ამ მხრივ, ისევ ჩვენს ხალხს გაუკეთებია; ჩვენ-კი არავითარი დახმარება არ აღმოგვიჩენია.

კახეთში იმერლებმა, ოსებმა, რაჭველებმა მთელი სოფლები გააშენეს. ვინ იყო მათი ხელმძღვანელი?

დღესაც ბევრია კახეთში მიწა გასაყიდელი, ქართლშიაც. ვინა ცდილობს, რომ ეს მიწები ჩვენს ხალხს დარჩეს?

ჩვენ ერთმანეთს ვეკამათებით, სტატიებს ვსწერთ, გაზეთებს ვაკრეფლებთ და, თუ რამე კეთდება ამ გზით, ისევ ჩვენი ხალხი აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დღემდის უნდა შეგვექმნა ისეთი დაწესებულება, სადაც ყოველგვარი ცნობები უნდა ყოფილიყო იმის შესახებ, თუ სად ვისი რამდენი ადგილი იყიდება და რა ფასებში.

ამ დაწესებულებას უნდა აღმოეჩინა ყოველგვარი დახმარება რჩევით, საქმით, გზის ჩვენებით, შუამავლობით, ფულით და სხვ. ყველა იმათთვის ვინც-კი გადმოსახლებას და ადგილების შეძენას მოისურვებდა.

სხვა რომ არა იყოს-რა, მაშინ აღარ განმეორდებოდა ისეთი შეცდომა, რომელმაც დღეს ძალიან ბევრი ხალხი იმსხვერპლა:

ოსებმა შეიძინეს კახეთში ადგილები; მთის ხალხმა იქაური ჰავა ვერ აიტანა და ნახევარი გაწყდა ცხებ-ცხელებით.

ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა, ჩვენში კი არც მეურნეობაა, არც სამეურნეო ცოდნა. ჩვენი სოფლები მოფენილი უნდა იყოს სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლებით.

რომ სურვილი გვქონდეს და ამგვარი საქმის ნამდვილი შეგნება და სიყვარული, ჩვენს სოფელს ამ მხრივ საკმაო ნაბიჯი ექნება გადადგმული.

ჩვენში არსებობს სხვადასხვა სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში.

ეს სტიპენდიები გვაძლევს ექიმებს, ვექილებს და სხვ. ერთიცა და მეორეც თავ-თავის დროს საჭირონი არიან, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ვერც ექიმები იხსნიან, ვერც ვექილები, ვერც მთავრობის მოხელენი, რომლებსაც ჩვენი სტიპენდიები ზრდის.

ჩვენს ქვეყანას იხსნის მშრომელი ხალხი. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მშრომელი ხალხის მოღონიერებისაკენ.

ყველა ეს სტიპენდიები უნდა გაუქმდეს და მოხმარდეს მხოლოდ სოფლებში სამეურნეო და სატეხნიკო ცოდნის გავრცელებას.

ჩვენ რომ იმდენი შეძლება გვქონდეს, რომ ვექილები და ექიმებიც ვზარდოთ და სოფელსაც დავეხმაროთ კაი დაგემართოთ, მაგრამ ამდენი შეძლება არა გვაქვს, ჯერ ღარიბები ვართ და ამიტომ, რაცა გვაქვს, ისე უნდა დავხარჯოთ, რომ მთელ ერს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანოთ.

ყველა სასტიპენდიო თანხა უნდა მოხმარდეს სოფლებში სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლების გახსნას. მარტო სტეპენდიები რას გააწყობს? ამ საქმისათვის უნდა იზრუნონ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, სამეურნეო საზოგადოებამ, საქველმოქმედო საზოგადოებამ, სამეურნეო ბანკმა, საადგილ-მამულო ბანკმა.

საიქიოსკენ და ციმბირისაკენ გამგზავრება უექიმოთ და უვექილოთაც მოხერხდება, ჩვენი ხალხის წარმატება კი შეუძლებელია, თუ ჩვენი სოფელი იმგვარსავე პირობებში დარჩა, როგორშიაც დღეს იმყოფება.

ილ. ჭავჭავაძის შეცდომა ის კი არ იყო, რომ სოფელს აქცევდა დიდ ყურადღებას, არამედ ის რომ ქალაქს არ აქცევდა იმდენსავე ყურადღებას.

ნათქვამია, რა სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო.

დღეს ქალაქია ბატონი და არა სოფელი, დღეს ქალაქი უბრძანებს სოფელს და არა სოფელი ქალაქს. ამიტომ ჩვენი წინმსვლელობისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ქალაქის ქუდი დაიხუროს.

სოფელში უნდა გავმაგრდეთ და გავძლიერდეთ,—ეს საჭიროა, აუცილებელი. მაგრამ ეს არა კმარა: უმთავრესი, თავი და ბოლო ქალაქია. თუ ქალაქშიაც არ გავმაგრდით, მარტო სოფელი ვერ გვიხსნის.

ჩვენ თუ სოფელში გავძლიერდით, ქალაქი კი სხვამ წაიღო, მაინც სუსტი ვიქნებით და მეტოქეობას ველარავის გავუწევთ, ნელა ნელა წავილეკებით, დავმარცხდებით და მოვისპობით.

სოფელში გამაგრება და ქალაქის დაპყრობა,—აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

რამდენიც უნდა ვიყვიროთ, ქალაქი ისტორიულის საბუთებით ჩვენიაო, მაინც ნოტარიუსის საბუთებს მოგვთხოვენ.

ისტორიულის საბუთებით თბილისი ქართველების არის, ნოტარიუსის საბუთებით კი სომხების.

მაშ ვის ეკუთვნის თბილისი?

რასაკვირველია, სომხის მსხვილ ბურჟუაზიას და ისე მტკიცეთ ეკუთვნის, რომ თბი-

ბილეთიანებიც მოიკითხეს, ხალხი ყოფილა საპირო, და ახლა ერთად-ერთი ჩვენი მარჩენელი ძმაი ლადოც წაიყვანეს „ვაინის“ სამსახურში. წვრილ-შვილი კაცია. ოთხმოცდა ათი წლის მამა გვყავს, მეც აღარაფერი შემიძლია, ჩემი ძალ ღონე ძმების ამოზდას შევალიე, გათხოვებაზე უარი ვსთქვი. დავბერდი. ჩვენი მარჩენელი ი ლადო ბიჭი იყო, ისიც წიაყვანეს და რა წყალს მივცეთ ჩვენი გაოხრებული თავი ღარ ვიცი?. მირჩიეს, აქ ჩამოვსულიყავი: „პრაშენია“ მიეცი, შეგიწყნარებენ და ძმასაც გაჩუქებენო. აი, მეც ამ საქმეზე გიახელი ქალაქში. თუ რამ წვრილფეხი იყო ჩვენ კარმიდამოზე, სულ დავყიდეთ. ხომ მოგეხსენებათ ყველას პატივისცემა უნდა! აქ ერთი მადლიანი კაცი შემხვდა, ოცი მანეთი მივართვი და რვა თუმანიც საქმეს რო მორჩება, მაშინ უნდა მივართვა. დამპირდა—შენ ძმას უეჭველათ გაგინთავისუფლეფო. აი, ღმერთმა დიდი დღე და საათი მისცეს იმი ცოლშვილსა!

რეგეკამ თვალნი სასოებით ზეცას აღაპყრო და მოჰყვა ლოცვას.

— რა გვარია?—შეეკითხე მე.

— ვინა, შენ შემოგეკლე,—ის კაცი?

— ჰო, ის, შენი მფარველი.

— რა მოგახსენოთ. გვარი არ მიკითხავს .. ქალაღდები წაიღო. ხელიც მომაწერინა „პრაშენიაზე“, მითხრა—აქ მომიცადეო.

— ხომ არ მოგატყუათ? ქაღალი სიცრუის ბუდეა, ჩემო დაო, და შეიძლება...

— უი!.. აბა, რასა ბძანებთ?..—გაატეტანა მან ხელები.—ისეთი ჩაცმულ-დახურული იყო, ისე ტკბილათ მემუსაიფა, რო აბა როგორ იკადრებს ტყუილსა?..

მომიკრა სიტყვა რეგეკამ და კარებისაკენ მიმავალს ერთს მოხელეს დაედევნა; დაეკვირდა, მაგრამ ისე გამობრუნდა—ალბად ის არ იყო, ვისაც მოელოდა და ისევე ყავარჯენს დაეყრდნო.

II

მეორედ—გორში შეეხვდი: ისევ რაღაც დაწესებულების კარებთან და ისევე ყავარჯენზე დაყრდნობილს. მაშინვე მიცნო, გაეხარდა და მომესალმა.

— რა ჰქენით, დაო, როგორ წაგივიდათ ქალაქში საქმე? იყო პირველი ჩემი კითვა.

— კჰჰ!..—ამოიოხრა მძიმედ მან.—დამღუპა ი ჩემი ძმის ცოდვით სავსემა, დამღუპა!.. სადღაც დამემალა. ბარე ოთხ დღეს დავრჩი. მთელი ქალაქი შემოვიარე: ხან სად ვკითხულობდი, ხან სადა. ქალაქელები სიცილით იგუდებოდენ. გიჟთ ჩამთვალეს. ზოგი რას მეუბნებოდა და ზოგი კიდევ რასა. კიდეც დამიპირეს, ავუხსენი ჩემი გაპირვება, ბევრი იცინეს და შემდეგ „ტანციისაკენ“ გამამგზავრეს. მიწა რო გამსკდარიყო და თან ჩავეტანე, ის მერჩივნა იმდენ სირცხვილსა. ჰო, მედა ჩემმა ღმერთმა! ახლა, შენ შემოგეკლოს ჩემი თავი, აქეთ გამომასწავლეს, მითხრეს—თუ ეშველება შენ ძმასა, ისევ გორშიო და, ოღონდ იმას რამე ეშველებოდეს, თორემ აბა თავს როგორ დავზოგავ. აქაც ამეკვიატა ვიღაცა, კნიაზსა ჰგავს. ერთი თუმანი ბეთ გამომართვა და როდესაც საქმეს მოვრჩებიო, ხუთი თუმანიც მაშინ უნდა მომცეო, ეჰჰ!... დაილოცა იმი სამართალი!.. არა, რაზე აგვიტეხა ეს დავიდარაბა, რას გვერჩოდა?.

— წარმოსთქვა მან საყვედურით და თვალებზე მომდგარი კურცხალი გადმოვარდა, მაგრამ ალბათ შერცხვა და მაშინვე მოიმშრალა.

ამ დროს კარებში ვიღაც ჩოხოსანი გამოჩნდა: თავზე ორ ნიშნიანი ქუდი ჰქონდა ჩამოცმული და სამოსელსა და მშვენიერი თავის მორთულობათა შორის ისეთი შეუფერებლობა სუფევდა, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო—რომელ სამსახურში უნდა ყოფილიყო ის გვამი.

დაინახა თუ არა ჩემმა მოსაუბრემ, სიხარულით აენთო, ყავარჯენს ხელი უშვა და წამჩურჩულა:

— აი, ეს გახლავთ ის კაცი. აბა, კარგათ დაკვირდით. ესეც ხომ არ მომატყუებს გეთაყვა?..

ჩოხოსანმა ეტვიანის თვალებით გამზომა და, როგორც მისი შეტრუსული სახის გამომეტყველება ამტკიცებდა, სრულიადაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესიამოვნა ჩემი დანახვა. მე მივესალმე, რაღაც უნდა მეკითხნა, მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია, რებეკას მკლავში სწვდა და მაღლა სართულისაკენ გაიქანა.

როდესაც იმ სახლზე მიკრულს წარწერას დავაკვირდი, რაღაც სავაჭრო სახლის ფირმა იყო ზედ აღნიშნული და არა „სამხედრო უწყებისა.

ნიკო გურული

მსახიობი ნ. გვირაძე

ამ ხაფხულს სიღნაღში მართავს წარმოდგენებს.

„ღალატი“-ს ავტორთან

ინ ნამუდ სვეტად მაშინ ჩამეშუქა გულში, რადგანაც ამ ათოთდე წლის წინად პირველად „ღალატი“ ვნახე.

ანანია—დათოს შემქმნელი არ მენახა და შემეყვარდა, შორს იყო და მუდამ თან დამდეგდა, სუფლა ჩემსა რწმენით აკვეკებდა.

— ერი წარმებული ხალხის მიერ ადლგება მკვდრეთით! მტარვალი მესანსარი იმავე ხალხის ხედით დაიმხობა,—ი რას შთამაგონებდა იგი...

— მართალია ეწამები, მაგრამ ნუ დაეტემი სუდითა: ტეტლში გამოიწრთვები და კარსანდეგ ადლგები!—ი, რითი მანაზრდებდა...

და ეს სუდით დამაზი შამხაბეკი, ზეთობს. მთელ სოფელში ისეთი არავინა გვყავს, რომ შენი გულისყური დროებით მაინც მიეზიდნა.

ოქრო. სცდები, განო! თქვენ სოფელში საუცხოვო არსება იმყოფება და თქვენ კი მას სრულიად ვერ იცნობთ! ვერ შეგიგნიათ იმის პიროვნება, მისი მისწრაფება. იგი პირდაპირ ზეცადან მოელინებულია და თქვენ კი გარეულ ნადირად მოგინათვლიათ. ეს როდია კარგი, რომ ადამიანმა ვერ იცნოს და ვერ დ აფასოს თავისი მახლობელი?

გაიანე. ქეთინოზე ლაპარაკობ, არა?

ოქრო. დიაღ, ქეთინოზე!

გაიანე. რა, მოგწონს?

ოქრო. საუცხოვო რამ არის, ენით აუწერელი!

გაიანე. როგორც გეტყობა თვალში მოგსვლია!

ოქრო. ძალიან. . პირველი შთაბეჭდილება ასეთია და მერე კი არ ვიცი!

გაიანე, ვსთქვათ, მერეც ასეთი აზრი შეგრჩეს, შეირთავ?

ოქრო. ეგ აზრი ჯერ თავში არ მომსვლია. რად იცით ხოლმე ქალებმა ულაცრად გადაწყვეტა? ვისთანმე კაცს რო დაინახავთ, მაშინვე უსათუოდ უნდა შერთოთ ნუ თუ მარტო შერთვაა აუცილებელი? მე ქეთინოს

ბოლიკულ გზაზე

(გაგრძელება)

იხ. „თ. და ც.“ № 22

III

გაიანე და ოქრო.

ოქრო. (შემოდის, ხელში კახსნიდი წერილი უჭირავს).

გაიანე. რას იწერება ტიტიკო?

ოქრო მალე უნდა წავიდე, უჩემოდ თურმე არაფერი კეთდება რა.

გაიანე. მერე რა უნდა გაკეთებულიყო?

ოქრო. სკოლის შენობა უნდა დაეწყოთ. ტიტიკო იწერება, ხალხი ვიღაცას გადურევიაო, ხარკს აღარ კისრულობენ: თუ კარგია, ხარჯი შენი იყოს და გაკეთება ჩვენია.

გაიანე ნეტაი შენა, ოქრო! თუ მეტი გაქვს, მაკინეს მისცე, უფრო დაგიმადლებს ღმერთიც და ხალხიც. დღეს თუ ხვალ ბოქაული შეუარდება სახლში და შევრცხვებით.

ოქრო. მერე მე სადა ვარ? ფიქრი ნუ გაქვს. ჩემს მაკოს არა დააკლდება რა. უსათოდ მალე უნდა გავემგზავრო, დროით მივატანო ხელი და დავეხმარო, თორემ ხალხი ძალიან გაჭირვებულია!

გაიანე. ეგ კი არა, გენაცვალე, შენ მგონი მოწყენით მყევხარ, ვერვინ ვერ გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმტაცი მოციქული-ქურუმი, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადამიანი, რომელსაც რუსეთის (უცხოეთისაც კი) სათეატრო და სამწერლო ასპარეზზე დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, 8 მაისიდან ივნისის პირველამდე თბილისში იყო საგასტროლოდ...

უთვალი მისი წარმოდგენა და მისვლა-მოსვლა ერთი ზეიმი იყო...

მაგრამ მე სულ სხვა მხრივ მაგულისხმება მისი თბილისში ყოფნა!

რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი, როგორ მოემზადოს მსახიობი, რა გზით უნდა ვეცადოთ ქართული თეატრის მალე აშენებას,

ალ. სუმბათაშვილის (*) პატივსაცემლად გამართულ ნადიმის

ვიცნობ, როგორც კეთილ ადამიანს და არა საცოლოს ასე განო! რა კარგია თქვენი სოფ ლი საცხოვრებლად. ადამიანს ხელს უწყობს ყოველის მხრივ! ძალიან მომწონს ამისი მომხიბლავი მდებარეობა, ამისი მსუბუქი ჰაერი! (კარებშა მაკინე გამოჩნდება).

გაიანე. თუ კი ასე მოგწონს, მესტუმრე ხოლმე, გენაცვალე, ყოველ ზაფხულს!

ოქრო უეჭველად მოვრჩები თუ არა ჩემს საქმეებს, იქა ვარ!

IV

იგინივე და მაკინე.

მაკ. (შემოვა) ჩემთან ლა, ბიჭო? მე როდისლა მესტუმრები?

ოქრო. ო, მაკო! (ჰკოცნის) შენა გგონია, შენ კი დამავიწყდი? ამ ზამთარ რამდენიმე კვირით შენც გეწვევი.

გაიანე. მე საქმე მაქვს.

მაკ. რა ამბავი შეიტყე, ოქრო, წერილიდან?

ოქრო. უნდა მალე წავიდე. უჩემოდ არაფერი კეთდება, მაკო!

მაკ. მოიცა. ცოტა ხანს კიდევ. გენაცვალე! ხვალ ზევით რომ კნ. თეკლესთან ვართ დაპატიჟებულნი.

ოქრო. კარგი, რა კი შენ გინდა—მეც დავრჩები.

მაკ. განა მოგეწყინა აქაური საზოგადოება? ვერ შეხვდი, ჩემო კარგო, შენის აზრების თანამოაზრეს.

ოქრო. წარმოიდგინე, რომ ერთმა ადამიანმა თანაუგრძნო ჩემს მიზანს და ჩემს იდეიას!

მაკ. ვინ არის, ჩემო ძვირფასო, ნუ თუ ამ სოფელში მოიპოვება ისეთი ვინმე, რომ შენი სიტყვა, შენი აზრი გაიგოს და დააფასოს? განა ისეთი ვინ უნდა იყოს?

ოქრო. ქეთინო!

მაკ. (ეღდა ეცემა, მაგრამ თავს იკავებს)?! განა იმისთანა განვითარება აქვს?

ოქრო. ქეთინო ძალიან განვითარებულიც არის და საკმაოდ ნასწავლიც! იშვიათად შეხვდები, ისეთი ნიჭით იყოს დაჯილდოვებული ადამიანი ბუნებით, ისეთი, ლამაზი და სპეტაკი არსება იყვეს, როგორც ქეთინოა! შენ როგორ მოგწონს ქეთინო?

მაკ ჰო, არა უჭირს რა. (სიტყვები ეკარგება) საკვირველია, რომ ნაქები ისე აღარ ეჩვენება ადამიანს. მაინც, ჩემის აზრით, არა უჭირს რა, რაც შეეფერება იმ გარემოებაში მყოფს!

ოქრო. მე კი აღტაცებული ვარ!

მაკ. მაშ, შეირთე!

ოქრო. წარმოიდგინე, განომაც მითხრა, თუ მოგწონს შეირთეო! ის იმდენად წმინდა, მიუწდომელ განუხორციელებელ იდეალად მყავს დასახული, რომ მისი ცოლად შერთვა ვერ წარმომიდგენია.

მონაწილენი 1916 წ. 18 მაისს „ახალი კლუბის“ ბაღში

მაკ. (დამშვიდდება) მართალს კი ამბობ, ოქროჯან, იმისთვის მიყვარხარ აგრე, რომ წლოვანობის შეუსაბამო ჭკუას და შორს მხედველობას იჩენ. ქეთინო ჯერ ბავშვია. მეუფლეობისაკენ გაეგება რა დასანამ გონებას მოიკრეფდეს, დიდი დრო გაივლის. მეორეც ესა, ჩემო კარგო, ისეთი მოთხოვნილება გაქვს საქველმოქმედო მოღვაწეობისა, მომძმეთა შემწეობისა, სხვადასხვა დაწესებულებათა მართვისა, მამულის წესზე დაყენებისა, რომ შენ მეტი შეძლება უნდა ეძიო, შენი შესაფერი სწორედ ლიზაა, თადეოზის ქალი, დეიალებსაც მისწვდები, ძვირფასო! ნათესავებსაც, წრეს, რომელშიაც ტრიალებს ქალი, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს! რაც უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო განვითარებულია და ნივთიერადაც მდიდარი, იმდენად შენ სიტყვას და აზრს მეტი ნაყოფის გამოღება შეეძლება!

ოქრო. (მიგა ფანჯარასთან) რა მშვენიერი დღეა! სული სადღაც მიჰქრის!

მაკ. შენც გაისეირნე, გაიარე საითკენმე.

ოქრო. ჰა, რას ამბობთ? ლიზაა შესაფერიო? არა, მე ის არ მომწონს. აკი გეუბნები ჯერ არ ვფიქრობ ცოლის შერთვასა მეთქი!

მაკ. შენი ნებაა. მე მარტო ისე ვსთქვი, ჩემო კარგო, რომ იდეალების მისაღწევად ნივთიერი ქონებაც საჭიროა მეთქი!

ოქრო. ეგ მართალია, მაგრამ მარტო ნივთიერი სიმდიდრე არა კმარა. განათლება, ჭკუა, გონება, სწავლა და მიმზიდველობაც აუცილებელია. ვთქვათ მაკო, ქეთინო შენგან დასახლებულ გარემოებაში იყვეს, არც მაშინ იქნება შესაფერი?

მაკ. რატომ... ეხლა კი მაგას აგრე მიმზიდველობა ხდის კეკლუცობა, სილამაზე! მერედა? შენის ბედნიერებისათვის ვამბობ, ოქრო, თორემ თუ კი დარწმუნდები, რომ ნამდვილად წარმოდგენილი იდეალი მასში მოიპოვება, შეირთე, ღმერთმა გაგაბედნიეროს!

ოქრო. მე იმიტომ კი არ ვამბობ ქეთინოს, რომ უათოდ ცოლად შევირთო? არა, მე მარტო ვამბობ იმას, რაც არის!

მაკ. მეც არაფერში გეღობები წინ, რადგან ვიცი, ვიდრე შენ საქმეს, არ ასწონ-დასწონავ ისე ფეხს არ გადასდგამ, რომ ბოლოს არ ინანო. ოღონდ შენ კმაყოფილი და მშვიდად იყავ, გენაცვალე, და სხვა არა მინდარა!

ოქრო. მაშ გინდა, კმაყოფილი და მშვიდად ვიყავ, რომ ჩემს საქმეს გულით და სულით მოვიქცდო?

მაკ. განა საკითხავია?

ოქრო. მაშ ამისრულე სათხოვარი!

მაკ. მითხარი, რა გინდა?

ოქრო. შეურიგდი ტიტიკოს, ეს სურვილი დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევს!

მაკ. (წამოხტება, თითქოს ცივი წყალი კბდაკბდესო) შეურიგდე, მე—ტიტიკოს?! მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიქონები

1.

მე შენს სიყვარულს ვერ დავემალე;
ყველგან გააბა ქსელი, ბადენი,
და ისე მათრობს, ვით სურნელება,
ნაძვის ხისაგან გადმონადენი...

2.

ვერ ავიტანე ღალატი შენი,
გული მომიკვდა. ჩავიცვი თალხი.
მოვშორდი ტოლთა და მეგობართა;
დავგმე ქვეყანა. დავტოვე ხალხი.

ან იქ რა მინდა?... ეჰ, დანაკარგი
ბედნიერება, მითხარ, ვინ მიზღახ? —
ჰაინესავით, ჰაინესავით.
უნდა მივძართო, სიცოცხლევ, დიდ ზღვას:
ალბად იქ მალე დამავიწყდები
და შენს მაგივრად ზღვა შეყვარება;
ისიც ხომ ისე უსაზღვრო არის,
ვით ჩემი სევდა და მწუხარება?!

გ. მეგრელიშვილი.

ფრანჭიები

შენ რაღამ აგატუნტულა ორმოცი წლის ფრანჭიავ, რაზე იქანჩავ სხეულსა, რაზე იბუგავ თმებსა შენსა?!... კმარა, ფრანჭიავ, ორი საათი უკვე გავიდა, შენი წასვლის დრო უკვე არი. ჩქარა თეატრში მიაშურევი, თორემ უშენოდ არ დაიწყობენ. ბევრს კი გაიგებ, უეჭველია, დარბაისლურად ყურით მოისმენ. აბა, რას ბრძანებ, ფრანჭია ქალო, რისთვის

...შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა? რაც შენი ღალატი მოინდომა და ჩემი დაღუპვა და გა...ტანლობა?

ოქრო. ეხ, რა ვუყოთ, ისევ ერთნი ართ. დარწმუნებული ვარ, აღარც კი ახ...ოვს, თუ იმასთან რაიმე დანაშაული გაქვს, ...ნ იმას შენთანა! შენც უნდა დაივიწყო. ...მაა შენი!

მაკ. (რიხიანად) დანაშაული მაქვს მას...ან?! მე... მასთან დამნაშავე ვარ?! (ამაყად) ...რას დროს!

ოქრო. გამოძიებას ნუღარ შევუდგებით. ...ნდა შეურიგდე, რადგან უძრახობაზე ცუდი ...რა არის რა! მით უმეტეს და-ძმას შორის!

გაიან. ხმა. (კულისებიდან); იასონ, საი...ან, კაცო! რა უცბად მოგვენახე“!

მაკ. (შეკრთება) იასონი?! რა მალე იბ...უნაფეხი! უმიზეზოდ არ იქნება მაგისი მოს...ლა ეხლა? (შემოვლენ იასონ რამიშვილი, სა...ედრო ტანსაცმელში და გაიანე. იასონი და...ვრემილია).

V

იგინივე, იასონ და გაიანე.

იასონ. (უსიტყვოდ მიესალმება ოქროს ...ა მაკინეს. სკამზე წამოჯდება დაღონებული).

ოქრო. რა დაგმართია? გამხდარხარ! ...ად იყავი?

იას. (ურუდ) არა.

მაკ. რას იტყვი? (იასონი ხმას არ იღებს). რა დაგემართა, ყმაწვილო? სთქვი—რამე!

იას. გაზეთში ხომ წაიკითხეთ?

ოქრო. გაზეთი ეს ორი დღეა რაც არ მოუტანიათ! რა იყო?

იას. ჩვენ რომ ათასი დესეტინა მიწა გვქონდა...

ოქრო. მერე?

იას. მერე ისა, რომ გაგვეყიდა!

მაკ (კინაღამ გული არ წაუვა). რას ლაპარაკობ?

ოქრო, რატომ არ შემატყობინე, კაცო!

იას. ეჰ, რავდენი ჩემი საქმე გაიხლართოს იმდენჯერ შენ უნდა შეგატყობინო ხოლმე?

ოქრო. ფულებს გასესხებდი... თავის დროს ისევ დაიბრუნებდი. გაჭირვებაში თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, როგორ იქნება?

მაკ. ვინ გაგვიყიდა!

იას. კარაპეტ მანველიანცმა.

გაიანე. ოხ, იასონ, ეგ რა ცუდი ამბავი მოგვიტანე...

ოქრო. დაგიჯერო უკან აღარ დაგიბრუნებს, როცა თავისი მიეცემა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვალე მთელი საღამო, თუ წარმოდგენას შეალევ სულსა. შენი გონება და სული ერთად იქ გინდა მხოლოდ სხვას მოანდომო. სხვას ეწონები, სხვას უალერსებ, გავლითგამოვლით ყველას აკვირვებ. შენი ბრასლეტი, თვალ-მარგალიტი, ყურში საყური, მეტად ძვირფასი, აი რა გინდა სხვას დაანახვო. რა დროს თეატრი, რა დროს ოპერა, შენთვის ფოიე არს სანეტარო. ყმაწვილებს ნახავ, ჩაუალერსებ, გაიფისოებ, ჩაიჭიკჭიკებ, სხეულს აჩვენებ, თავს მოაწონებ, შენი სიცოცხლე სულ ამაშია.

მერე, პრანჭიავ, რა ჰქვიან ამას? რა სიცოცხლეა, რა არის ესა! ნუ თუ ამითი შენ არ ღალატობ შენს მეგობარსა, შენს ქმარს სახლშია; გგონია არა?— ძალიან სცდები. სჯობს მასთან ერთად სხეულიც დაჰგმო, თუ კი მუდამ სხვას შენ ეწონები. ეს მახინჯობა შენ არ გიხდება, შენ ხარ ბუნებით თვითონ ლამაზი. ჩაიცვი კარგად და მხიარულად, ნუ ჰფიქრობ, მხოლოდ კოხტაობასა. სუყველას თვალი კარგადა ხედავს ბუნებით ლამაზს კეთილს აგებას. თუ კი აჰყვები მოდას და მოდას, მუდამ იქმნები მხოლოდ პრანჭია. ლამაზად ჩაცმა, კოხტად ცქრიალი, სიმხიარულე შინაც კარგია.

მხოლოდ, პრანჭიავ, შინ ჩლაჩუნა ხარ, სტუმრად და ხალხში მარტო გრაცია, მარტო გრაცია არა ბუნებით, მოდის მოგონით, შეთხუბნულობით.

მერე ეს რა დროს?! ახლა, როდესაც მთელი ქვეყანა სულ წინ მიილტვის: ყველა სულდგმული სცდილობს ამაღლდეს, ჭკვით განვითარდეს, სულით უღრმესდის მთლად განსპეტაკდეს. შენ კი, პრანჭიავ, აბა რას, რას შვრები, მუქთად დასდიხარ და არა სცხრები! თავი მით მოგაქვს, რომ ნათლად სცცხოვრობ, ქმარს არ ჰღალატობ, მხოლოდ კეკლუცობ. მე კი ღა გეტყვი, ქალო პრანჭიავ, საერთოდ ყველას შენ შესძაგდები, მერე იპრანჭე შენ სიბერემდის, მთელი დღეები იდექ სარკესთან, არვინ დაგიშლის თავისუფლებას, ესეც მოდაა, აბა რას გეტყვი.

ვეღარ მოვითმენ კიდევ არ გითხრა: მოდამ წყეულმა მთლად გადაგრია, თვითონ კარგი ხარ, რას იგრიხები, რაზე ითვისებ სახელს პრანჭიას.

აგერ ოთახი შენს გასვლის შემდეგ, აბა მობრუნდი, ნახე, რასა ჰგავს?! სადილის შემდეგ როგორც გეძინა, საბანი ისევ ახდილ აგდია, ბალიშზე სარკე, ზეწარზე შპილკა, ზედ ერთი ფლოსტი, მეორე ძირსა. აქვე „კროაოტზე“ სავარცხელია, მთლად ჭუჭყი ადეევს, თმებით სავსეა... არ ვიცი... ვინ შენ, ცქრიალა ქალსა, ნაზად ჩაცმულსა ესე სავარცხელი, რად გიჭუჭყდება ნეტავ არ იტყვი?! მაგრამ რა უყოთ, თმებში რა მოსჩანს, სუნიც არა აქვს, დუხი დაჰფარავს. აგერ სტოლი, ზედ რა არ არის: დუხის კოლოფი პირღია დაგრჩა, პრობკა მიაგდე იქვე სტოლზედა, ქინძისთავები აქა-იქ ჭყრიან, მათი კოლოფიც გახსნილი გდია, სადილიდანა ორი სალფეტკი ამ ტუალეტზე დაგრჩა წეღანა, ზედ სალფეტკებზე კოლოფი გდია შენის საათ-ს ოქროს ძეძვითა; როს გაიკეთე ეს სიმდიდრენი კოლოფიც აქვე ღია მიაგდე. გძელი მაშები გაფანტულს პუდრში, კბილისა ჩოთქი, მაზი ტუფლისა აქვე არს ყველა დომხალივითა. სტოლის ყუთიც კი არც კი შესწე, არ გაასწორე. აგერ კროაოტის ბოლოშია შენგან ჩახდილი იუბკა გდია, კიდევ რაღაცა, ძნელად ირჩევის, ორ ზორტ შებმული რაღაც პარკია, სულ იატაკზე გაფანტულია, რაც კი რამ გეცვა თეატრის წინა და... ყველა ესა, აბა რა გითხრა, ნუ თუ, პრანჭიავ, საკადრისია?!

შეხედულობა დარბაისელი, ქმრის და ყველასი შენ საყვარელი, რად იგრიხები, რაზედ ირჯები, რაზედა ჰკარგავ შენს კარგს ყოფნასა! კიდევ ცოტას ხანს ასე ქცევითა ყველას დაჰკარგავ, დარჩები მირტო და მერე თუნდა ბევრი იპრანჭ-, გვიან იქნება, შეჰხედე ღმერთსა!

მე არ გისურვებ ცხვირზე „აჩკუბსა“, ბრძნულს მეტყველებას დიდსა სიბრძნესა, იყავ ლამაზი და მასთან ნაზი, კოხტად ჩაცმული მხოლოდ შენთვისა, არა სხვისთვისა. ეს ბუნებრივი სიმშვენიერე, მუდამ შენ გდევდეს სახლში და კარში, მერწმენე მაშინ სიტყვა „პრანჭია“ არ მოგიდგება, არ გეკადრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ მშრომელი, იყავ ბეჯითი, მიმოიხედე ქვეყანა სტირის, მიდი უშველე ქვრივ-ოხერ-ობოლს, მოდა რას გარგებს ცხოვრებაშია. ამა, უყურე, ძველად ქალები რას აკეთებდენ, როგორ სცხოვრობდენ და ღღეს კი შენი გონება სული ბრასლეტ-ბეჭდებში ჩაგისახია. აგერ პაწაწა სოფლის ბიღანა სტირის და ცრემლებს ღვრის შეუშრობლად. მამა, ბიძები ომში წასულია, დედა ჯანს ალევს სხვისა კარზედა, შენ კი სიმღდრე ყელზე გკიდია, ამა, ეს რას ჰგავს ჩემო პრანჭიავ?!

მე ნუ მიწყრები, კარგად ჩაფიქრდი, მე მოგახსენე სიტყვა ხმოვანი, ჩემი არ გჯერა?.. მაშ მოუსმინე, რას მოგახსენებს შენ სილოვანი:

„ქალი ის არის ვინც მანქვეთ, გრეუბით
თავს არასოდეს არვის აწონებს,
დგოაებრივ სახით სიტკბო-სიმშვიდით
ფიურს ანგედოზს ვინც მოგვაკონებს.

ქალი ის არის, ვისაც აქვს გული
ფხრდელი უმანკო სიყვარულისა
და სათნო სული, კეთილის მსურვი,
ბოშინეგებელი სიხარულისა.

ქალი ის არის, ვინც ოჯახს უფლის,
ბრიმით ეშვენებს თვის სიდამზეს,
ვინც ვაკს ბეურდს უდგას, შრომაში ვაკობს,
ბაგრამ არ ჭკარგავს ქალის სინაზეს.

ვით კაზეფუნი ვარდ-ეფაიდებით
არის ბუნების შემამკობელი,
ბერეოვე ქალი სათნო მშვენებით—
დამანთა დამტკბობელი.

ქალი ის არის წმინდა გრძნობებით
ვინ ბეკასეტკებს, ბეკამხნეგებს მარდ,
ვინ ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულს სულს
ოეგდინებს დავითის ქნარად“.

ამა, რა ბიყო, ჩემო პრანჭიავ, ესეთი ალი შენ ხომ არა ახარ, ჩემი ბრალი ხომ ეგი არ არის?! დაივიწყე შენ მოდა, ბრაცია, ცი პატივი შენს ქალობასა და, მერწმუნევი, ენც ემგზავსები სილოვანის ქალს, მის არ-ებასა,

ილო.

ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას

მახსოვს კეთილი დადო, მახსოვს და მუდამ ნათელი დარჩება ჩემს ხსოვნაში ვიდრე ბოლებს შემრჩება. მახსოვს მისი დარბაისლური შეხვედრა, მისი ბუდეწეფადი რჩევა, დარიგება, რომელიც ეოველ შეხვედრის დროს მეტუოდა ხოდმე:—ქალო, რათა ხარ შუდამ დადგენილი და სევდიანი? იკითხე, ითმეტადენე, ჯერ ახსოგაზდა ხარ, მომავალი შენია.

მიხმობდა წინმსწედლობისაკენ და მირჩევდა, რაკარ უნდა მიმეღწია მიზნისათვის ის, თითქო ჩემს სულში იხედებოდა, მან შეუტდომლად ამოიკითხა ჩემი სახიდან ჩემი უმწეო ბუდის თქმა და შუდამ ძმური ნუგეშით მიწედდა ხელს.

ადეს მოკვდა იგი, მოკვდა უანკარო და წრფელი გრძნობებით ადსავსე ადამიანი, მოკვდა და თან წარიდო წრფელი ზარხვა თავის ობოდ სამშობლოს შეიდოა, რომელზედაც ფიქრი ერო წუთსაც არ შორდებოდა და კიეყრის გრძნობით ბატონებული მოუთმენლად ელოდებოდა ხსნას მრავად ჭირნახულ სამშობლოისას.

მას უყვარდა სამშობლო, უყვარდა ჩაგრული მოძმე, უყვარდა ბუნება, მშვენიერება, ბაგრამ ეოველივე ეს შუხლდი კამოდგა მისთვის: მას ვერა არგორა თავგანწირულმა სიყვარულმა თავის ქვეყნის და მოძმისამ, მას ვერა არგო რა უანკარო შრომამ, მოდვაწეობამ.

ის არა თუ მიზნის მიღწევას მოესწრო, არამედ თავის სიყვარულ სამშობლოს მიწას რომ მიბარებოდა, ისიც კი დანანდა მისთვის ბუნებას.

ეჰ, ვინ იცის უანკასენელ წუთებში რა ადმოხდა მისი ობოდი კეთილიდან; ვინ იცის ვის უხმობდა, ვის ეველრებდა თავის უმწეო სამშობლოს ხვე-ბელს?

ვინ კეუთხარა უცხო მიწის შვიდს უცხო სიმარე?

სამარადისოდ იეოს ხსენება შენი, დინჯო, დარბაისელო დადო! **დავითა ახვლედიანისა**

ხელოვნების მოკლე ისტორია

ფინიკიელები და მათი ცივილიზაცია

ბიბლიოლოგმა კაბოკვლეგამ ნათელი მოჰფინა ამ კარგმოგებს, რომ ეგვიპტესა და ასურეთს საბერძნეთზე ბირველ ხანებში ჭქონდათ კავშირი, მაგრამ ეს კავშირიც შუამავლის წყალობით ეფინიკიელ ქვეყანას. ეველაზე მარჯვე შუამავლნი იყვნენ ფინიკიელები. ისინი თავდაბრეველად სპარსეთის ეურეს ნაბარზე მოსახლეობდნენ და ამის კაშო ნათესური დამოკიდებულება ჭქონდათ ქალდეველთან და ასურელებთან. შემდეგ კი, ქრისტეს შობამდე დაახლოებით მეოცე საუკუნეში კალმოსახლდნენ სირიაში. ამ ნაყოფიერ ქვეყანას კი უძველესი დროიდან ეტანებოდა სხვადასხვა მოდგმის ხალხი, აქ იდგენენ ბინას, ასე რომ მოსახლეობა აქ მეტად მშვიდრო იყო და ამიტომაც ფინიკიელები აძულებულნი იყვნენ ვაჭრობა ფარკალი აეწყოთ სალბოვრებლად: ლაბანსა და ხმელთა შუა ზღვის ტალღებს შორის. აქ ხმელეთზე ფინიკიელები დიდს ვაჭრობას კანიდდენ და ამმოსავლეთისკენ არა ჭქონდათ კარავი ქონა, დასავლეთით კი მათ წინ კაბალშლილი იყო ბევრ რამის მომტანი ფაროთა ზღვა და აწყვეულ მათ სამოქმედოთ. ისინიც ბენიერებას ამ ზღვაში ეძიებდენ და დიდხანს ისინი იყვნენ ბირველი მეზღვაური და ბირველი ვაჭრები ანტიკური ქვეყნისა.

მათ არ შეუქმნიათ ეროი, მოელი სახელმწიფო. თითოეული დიდი ქალაქი დამოუკიდებელი იყო. მათში უმთავრესნი იყვნენ არადი, სიდონი და ტიროსი. ამ ქალაქებში უბინრატესობა მოგაზრე არისტოკრატიასა ჭქონდა. შეფეეებიც ჭყოფდნა, მაგრამ მათ არა ჭქონდათ დესპოტური უფლება მინიჭებული. მათ უფრო ამბასთანა მოსაფრობა მოსწონდათ, რომელიც ვაჭრობას უწყვდა მფარველობას, ბოდიტიკურ თავმოყვარეობას ისინი არ კანიცდიდენ და ამიტომაც ადგილად ატანდენ უცხოელთა მეერ დაპყრობას, ოდინდ თვითონ სარგებლობა ენახა რამ. ისინი უფრო ხაბა ვაჭრები იყვნენ, შეძენაზე კაბალებულნი და ხასითიც დირსების მოკლებული, ტბიერი და კაიძგერები იყვნენ.

მათი რელიგია ასირიელსა ჭკავს — მზისა-ხარი (სასხლის მწყურვალი) და ენებიანია. ფინიკიელი ფმერთებიც მათ თავვანისმცემლობასა ერათ დამოგზაურობდენ და ეფინებოდენ სხვა ქვეყნებისაც. მაგალითად ფინიკიელი ენერგა — ასტარტა, ან ტიროსის ფმერთი მელკარტი. ბევრი მთავანიც ბერძნეთა ფმერთთა წინაპარია. ფინიკიელებმა სხვა სამსახურიც გაწეიეს ცივილიზაციას: მათ შემოიდეს უნერხეულ ეკვეტეტერ და ასურულ წარწერასთა მაგიერ ანბანური წერა და მოჭფინეს ცალ ქვეყეთს.

ნაშთები. არქიტექტურა.

ფინიკიელთა ხელოვნების შესწავლა ეველაზე უკეთ კარეშე ქვეყნებში შეიძლება. თვით ფინიკიაში ისეთი საკეთილო ეარ ალმოაჩინენარა მათ შესახებ, რაც ეგვიპტესა და ასურეთში. ებბეგე ითქმის კართაკენაზედაც სირიის ბირდაბირ მდებარე კუნძულ კიბრიოზე, სადაც ფინიკიელებს ერთ დროს დიდი ქალაქები ჭქონდათ კაშენებული, აგრეეე ბეგრი რამ ნაშთი ალმოჩნდა. ქრისტეს შობამდე მეათე საუკუნეში სწორედ ამ კიბრიოსზე ბერძნებმა დაიდეს ბინა და ამიტომაც აქ ჩვენ საკეთილდ მოგალენსთანა გვაქვს საქმე. უმეტეს კანვითარება-მომთავრებული ალმოსავლეთური ხელოვნება და ახლად წარმოშობილი — ბერძნული ეროი შეორეს კალასწენია. ბეგრმა შეგალვარმა და კანსაკუთრებით ალბრეეედ კონსულმა ჩესონდამ 1860 წ. კუნძულის სხვა და სხვა ადგილს იბოიენეს შენობათა და ნეკროპოლისის ნაშთები (ბეგრი მათგანი ეხლა ნაუიორკის მუზეუმშია მოთავსებული). ამ ბაკრა საბერძნეთში ალტადასა და კალთა ქვეყანაში აქა-ეა ალბოგნეული ფინიკიელთა მეერ შემოტანილი ნიეთები.

ფინიკიური ხელოვნებიდგერება კი ალმოჩენილა საკეთილდ არ არის. შეიენიდ ნანგრეეებზე, ვატეოლბი, რომ ეეგრეთაი უზარ-ბაზარ ქვებისა და მასალების ხმარება, ნდოშეიანო ბუმბეერა სანსხოლით კეეცეიფრებინათ მნახველები. ესეთი ნარადის კალაკენაში მოენიდი ნანგრეეი, ამმრატატაძრი კი ფინიკიაში, კოდეოლისი კიბრიოსზე და სხვ. ესენი ძალინ ეა ძალინ ისე დიდები ალ არიან; საკეთილს ეფერი ბერძნული, დორიული და იონიური ნაკეთოეერება აქვთ, მაგრამ მათეეურა მოხდენილი და კამეწეაზრეული ძალინ არ არის. ალ ალ ალ

საბრალო დათია

ჩაფიქრებულა დათია,
საბრალო გლეხი ძალზედა,
შუბლი ნაოჭად შეჭკვრია,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა
რა ქნას, რა უყოს ჯალაბსა,
ძალ ღონე გამოლეულმა?
საით წაიდეს ქირაზე,
ან როგორ მოხნას სნეულმა?
სანამ გვერდს ედგა შვილები,
მჭადი არ შემოჭკლებია,
ღვთის მოცემული პურ-ღვინით
ობლებსაც ხშირად ჭრგებია.
დღეს-კი, რაღა ქნას, რა უყოს
ორი ვაჟაცის ცოლშვილსა?
რითი შემოსოს ბავშვები,
რით გაუმკლავდეს სიმშილსა!
მაგრამ სიმშილსაც აიტანს,
ბედისგან განაწირალები,
ოღონდ-კი ჰყავდეს ცოცხალი
ომში წასული შვილები;
ოღონდაც არ გაუმწარდეს
სიბერე ბოღმა შხამითა,
არ დაუბნელდეს თვალები,
არ შემოსოს შავითა!
მაგრამ სად არის იმედი?—
აგერ ეს ერთი წელია,
არ მიუღია წერილი
და ცხარე ცრემლის მღვრელია.
ზეცა სდუმს... მიწა გავსილა
სისხლით და ცრემლის დენითა...
და უბედური დათია
სავსეა კაეშანითა!

სიო კალანდაძე

საზოგადოება „იმედი“

ქართველი ქალი დრამებითი ბურანდაგ თანდასთან ერკვევა ან ქვეყნის წინსვლის საქმეში ებმევა.

საკანმანიოდებელი-სამწერლო სსპარაზე ჩვენმა ქალებმა უკვე თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგეს. ამერ-იმერეთის, ლეჯ ქალაქთ თუ ზოგიერთ დაბის ქართველი ქალნი მხნედ მუშაობენ.

ამ ბოდი დროს საკერო საქმეშიც ჩაებნენ: „ძმური ნუგეში“ და სხვ. უკვე სწარმოებენ,

ახლახან ქართველ ქალთა ერთი წრის მეცადინეობით დაარსდა ნიჭიერ ახალგაზდების დამხმარე საზოგადოება „იმედი“, რომელიც ნიჭიერ სახსრის მოპოვებას ფანატიზი სასადილოს დაფუძნებითა ფიქრობს. საზოგადოებას წესდება უკვე დამტკიცებული აქვს და თავის მიზნის განსახორციელებლად დღეს, ნიჭიერს ხარფუხის კლუბის ბაღში სეირნობას მართავს. თქმა არ უნდა საზოგადოება დიდის უურადღებით მოეფერება ამ ნორჩ „საზოგადოებასა“ და ხელს შეუწყობს, რომ „იმედმა“ თავისი საპატიო საქმე სასარგებლოდ მიზანი განახორციელოს.

ექიმი შტოკმანი



ბოლოდროინდელ, როგორც მთელ საქართველოლოში, პირველ მაისს უნდა გამართულიყო თამარის საღამო, მაგრამ საზოგადო საკრებულომ ამ დღეს დარბაზი არ დაუთმო („სინემატოგრაფი გვაქვს და ვერ მოვშლითო“ და სხვა ამისთანა ვითომდა მიზეზებით ინიართლებდნენ თავს მამასახლისები), ამიტომ ეს საღამო გაიმართა სამშაბათს, 3 მაისს, შემდეგი პროგრამით: I დიდება ცოცხალი სურათი; ბავშვების გუნდმა ბ. მ. გერმანიშვილის ლოტბარობით შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა („თამარის დროშა“, „თამარ მეფე და ხონთქარი“ და სხ.) და წარმოსთქვეს ლექსები. II მსახიობთა ვ. აბაშიძის და ი. ყიციძის მონაწილეობით წარმოადგინეს „სიძე-სიმამრი“ და „მათიკო“. ბ. ვ აბაშიძე საგანგებოდ იყო მოწვეული ამ საღამოსთვის და სახოგადოებაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მას: მხურვალე ტაში ასტყდა დარბაზში მხცოვანი მსახიობის სცენაზე გამოსვლისთანავე და ასეთივე ტაშით თავდებოდა ყოველი მოქმედება. მოწვეული იყო აგრეთვე ს. ხაშურიდან სც. მოყვარე ქალი ქეთო კალაძე. როგორც წარსულში, ისე ახლაც ამ სც მოყვარე ქალმა აქაურ საზოგადოებაში კაი შთაბეჭდილება დასტოვა. დარბაზში ტევა აღარ იყო. საღამო გათავდა ღამის 12 ს. დასასრულ ბ. ვ აბაშიძის პატივსაცემლად გაიშალა ქართული სუფრა. აღსანიშნავია, რომ აქაური ქართველობა მეტად დაქსაქსულია, მათ შორის არავითარი ერთობა და კავშირი არ არსებობს. ვერ ნახავთ ერთად შეკრებილ ქართველებს, თითქოს გაურბიან კიდეც ერთმანეთს. ამ საღამოს კი სულ სხვა რამ მოხდა: ამ სუფრაზე შეხვდა ერთმანეთს ადგილობრივი ქართველი ახალგაზდობა, რომელსაც თითქო საერთო არა ჰქონდა რა, არც საზოგადო და არც კერძო

ცხოვრებაში, მაგრამ, როცა ერთი გვარტომი—ქართველთა შვილნი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, თ-ოოფეულის მთგანის სახეზე ნათლად გამოხატებოდა, რომ მათ საერთო საქმისათვის, საერთო მიზნისათვის და მისწრაფებისათვის უცემთ გული, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლის დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობები. ამიტომაც არის, რომ ბორჯომში ქართული საზოგადო საქმე არა სჩანს და შეერთებული საქმიანობის კერაც—ქ. შ. წ. კ. ბ.—ბის ადგ. განწყობილება იფერფლება, ძლივსღა ბუუტავს... დაე ეს სუფრა ყოფილიყოს მიზეზად ბორჯომის ქართველი ახალგაზდობის შეერთებისა და შეკავშირებისა ყოველ გვარ ქართულ საზდგადო საქმის აღორძინებაავვავებისათვის. დ—ე

სასაზინო თეატრში ორშაბათს, 30/V, ქართ დრამ. საზ-ის თაოსნობით ალ ივ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად ქართ. დრამ. დასმა წარმოადგინა „ღალატი". პიესაში თუმცა უკეთესნი ძალნი მონაწილეობდენ, წარმოდგენა მაინც მოისუსტებდა: ყველა მთგანს წინად გაცილებით უკეთ შეუსრულებია ნაკისრი როლი,

გვიკვირს, მხეოვან მხახიობთ შორის რატომ არა სჩანდა დრამ. საზ. ერთი დამფუძნებელთაგანი—საპტიო წევრი და ანანია-გლეხას შემქმნელი კ. ყიფიანი. წარმოდგენის დაწყებამდე ალ. ივ. სუმბათაველმა წაიკითხა „ღალატის" წინასიტყვაობა. მესამე მოქმედების შემდეგ მსახიობთა და დრამ. საზ. გამგეობამ ა. ი. სუმბათაშვილს მცირე ზეიმი გაუმართეს: გამგეობის მხრით შვენიერი სიტყვა უთხრა სოსიკო ბარათაშვილმა, დაფნის გვირგვინი მიართვა დრამ. საზ-ის თავმჯდ. ნ. დ. ერისთავმა (ზედ წარწერით: „სასიქადულო მ მუალიშვილსა და ხელოვნების ქურუმს თ-დ სუმბათაშვილს...). თბ. გუბ. თავ.-ანნ. მხრით კ ი. სეიმონიშვილმა მიართვა ძველებური კელა, კ. მესხის ქვრივმა კ. მესხის სურათი, დასმა—ბ სუმბათაშვილის თანდასწრებით მონადიმეთ ბაღში გადაღებული სურათი. ა. ი. სუმბათაშვილმა თავის მხრით ქართულ დასს მიუძღვნა ვერცხლის გვირგვინი (ზედ წარწერით: „ქართულ თეატრს „ღალატის" მადლიერი ავტორი") და ყველას მადლობა დადუხადა (ქართულად). დიდძალი საზოგადოება დავსწრო. უსავანო.

სასალხო სასლში ოთხშაბათს, 1/VI, ი. ზარდალიშვილის თაოსნობით პირველად ქართულ ენაზე წარმოადგინეს 1, „ურიის სისხლი", 3 მოქ. დრამა ბერნშტეინისა, თარგმანი შ. დადიანისა და ძველი ვ[illegible]ფევლი II „ვაი ყობოს". ურიის სისხლი შეეხება ებრაელთა საკითხს და ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, თარგმანი საუცხოოა. პიესა ღირსეულად ვერ იქმნა დადგმული. პირველ მოქმედებაში შეერგებილი უმაღლესი საზოგადოების უმეტესობა უფრო ლაქიებს მოგგაგონებდათ. კარგი იყო ტიბო (ი. ზარდალიშვილი), ხოლო შიგა და შიგ მეტად ბავშვური გამომეტყველება ეჰნეოდა; ჟიუსტენ გუტლიბი (ვ. კორიშელი) მეორე მოქმედებაში მოისუსტებდა, უკანასკნელში—ა[illegible]უშავდა რა; ადგნეს (ნ. დავითაშვილი) კარგი იყო, მხოლოდ მეტი სულიერი განცდ-ს გამოჩენა ემართა; დ. გედეკანოვი კარგად ასრულებდა მამა დე სილვიანს. დასსრულ „ვაი ყობოზეი" ი. ზარდალიშვილმა (ყობო) ძლიერ გაამხიარულა დამსწრენი. დიდძალი საზოგადოება დავსწრო. ვ—ო.

წვრილი ამგვები

ნუცა ჩხეიძე სამშაბათს, 7 ივნისს, სახალხო სახლში ამ გასაფხულის სეზონში კიდევ ერთხელ. დაატკბობს მაყურებელთ „მარგარიტა გოტიეს" ლეგიონერი განსახიერებით. ქართველი დრამ. დასი ამ წარმოდგენით ათავებს წლევანდელს სეზონს; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს წარმოდგენა იმართება ახალგაზდა მსახიობის ბ. გ-მელაურის სასარგებლოდ. იმედი უნდა ვიქნინთ, საზოგადოება თანაგრძნობით მოეპყრობა. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობენ: ვ. გუნია, ალ. იმედაშვილი, ალ ყალბეგიშვილი, ან. მურუსიძე, პლ კორიშელი და სხვ.

საზოგადოება „იმედი"-ს სასარგებლოდ დღეს ხარფუხის საზ. კლუბის ბაღში სეირნობაა.

ა. ი. სუმბათაშვილი 2 ივნისს ქუთაისს გაემგზავრა, ხოლო იქიდან ბაკოს ჩავა საგასტროლოდ.

საზაფხულო სეზონისთვის ქართველ მსახიობთა ამხანაგობა შესდგა კლუბებში წარმოდგენების სამართვად.

მსახიობი ნ. გვარაძე საზაფხულოდ სიღნაღსაა მიწვეული. უკვე ორი წარმოდგენა გამართა.

რეჟისსორი ა. ფუფუნავა საზამთრო მოსკოვს მიემგზავრება „მცირე თეატრში" ალ. ივ. სუმბათაშვილთან სამუშაოდ.

ქართველ მსახიობთა თაოსნობით ალ ივ სუმბათაშვილის პატივსაცემად 1 ივნისს ორთაბალაში მეგობრული ვახშამი გაიმართა.

ახალგაზდა მხატვარი რამან აბაზაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

მხატვრები მ, თოიძე, დ. შავარდნაძე, ლ. გუდიაშვილი, ხ. მუსაევი და სხვ. მოხალისენი დავიგ[illegible] გარეჯას გაემგზავრენ ძველი ფრესკების გადმოსაბატად.

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად 1 ივნისამდე შემოვიდა 3.356 მ. 48 კ.—ე ფული განსაკუთრებით წვრილმანი შემოწირულებანი დღეში 30—40 მან. მოსდის ქართვ. კულტ. მოყვარე საზოგადოებას.

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის თანხის სასარგებლოდ: ივ. ლობჯანიძისაგან—13 მ. 10 კ. ანდრო დოლიძისაგან—2 ა. 95 კ., გ. მაღრაძისაგან—1 მ. (მაისიდან თითო მანათი აღგვითქვა თვიურად).

აკადემიკოსი ნ. მარი გასულ კვირა თბილისს ჩამოვიდა; მალე სვანეთს გაემგზავრება.

მწერალი ვ. მალაქიაშვილი ტყვეობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გაანთავისუფლეს და ასტრახანს გადასახლეს. მწერალი მალე განაგრძობს შეწყვეტილ სამწერლო მუშაობას. ამ ჟამად იგი სწერს კრიტიკულ წერილებს. ერთი მისი წერილი მალე ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

✦ **ა. ი. ხუმბათაშვილი** მადლობას უთვლის ყველა იმას, ვინც პატივი სცა.

✦ **ზ. ჩოდრიშვილს,** ამას წინადგ არდაცალილს, ბაქოს ციხეში ტყვეობის დროს უთარგმნია რომანი „ლიუდოვიკოს მეოთხმეტე". როგორც შევიტყეთ, განსვენებულის პატივისმცემელთ განუზრახავთ ცალკე წიგნად გამოსცენ.

✦ **თბ. გუბ. სახ. მასწავლებელთა** დამფუძნებელი კრება შესდგება დღეს, 5 ივნისს, სახალხო სახლში 12 ს.

✦ **„არშინ მალ-ალანი"**, თათ. ოპ., ჰაჯიბეგოვისა, თარგ. ვ. გიგოშვილისა მეშიდედ დღე წარმოდგენილ იქნება ხელოსანთა კლუბში.

პ ა ს უ ხ ი.

სადგ. კარაკლისი. ბ. შ—ძეს. მიღებულია. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" იბეჭდება (200 სვეტამდე უკვე დაბეჭდილია) და გამოგა თუ არა — გაახლებთ.

ქართული ტეკვის სკოლა

როგორც ქალებს, აგრეთვე ვაჟებს ვასწავლი ყოველგვარ კეკასიურ ცეკვას: ქართულს ლეკურს, დღიტენურს ნაურულს, სომხურსა და თათრულს თამაშსა.

ალექ. ალექსიძე

მისამართი: ჯაგუაძის ქ. № 1, ევროპიულ ტეკვის **სკოლა ინნოჩენცისა** (3—3)

ა. გ. ალექსიძე

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.